

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030431774217615

04-75/ო

10 / მარტი / 2015 წ.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის“ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი საქმიანობის პრინციპებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 23 აპრილის N04-118/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის“ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომისიის შექმნის, მისი საქმიანობის პრინციპებისა და პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 23 აპრილის N04-118/ო ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის 1.6.1.–1.6.5. დანართებით განსაზღვრული კომპონენტებით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე განაწილების ან შესაბამისი ვაუჩერების გაცემის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზაზა სოფრომაძე, სააგენტოს დირექტორი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მარი წერეთელი – მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ჯანდრი უბირია – მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) სერგო კალანდაძე – სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების ფინანსური ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ე) მათა შავშიშვილი – სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ვ) ვალერი გაზდელიანი – სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) ზაზა ჯანაშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.“

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე